ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის




წელიწადი მე-Ш. № 23 დეკემბერი 1907 წ.




ტფილისი
ელექტრონის სტ. მბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I — ზამთარი ლექსი ი. ევდოშვილისა . . . . . . . 3

II — თედოს ბატები. ცქვიტისა . . . . . . . . 4

III — თინას საჩუქარი (თარგმანი) ელენე ანტონოვსკისა. . 13

IV — შკიდ ბეწვა ქოსა. — (თარგმანი თათრულით) თ. ბაქრაძისა . . . . . . . . . . . . . . . . 17

V — ძაღლის მეხსიერება. — (თარგმანი) ელენე ჭიჭინაძისა . 21

VI — გასართობი. — ა) ლახტის თამაშობა — ბ) შარადა. გ) რებუსი. — დ) ალსნა . . . . . . . . . . 23

# ზამთარი



დაგვიზამთრდა... მინდორ-ველზე
გადიშალა თეთრად თოვლი.
ცივა... ყველა მინაბულა,
ბუხრებიდან ადის კომლი!

—

სადღა არის გაზაფხულის
მშვენიერი, ტურფა დილა?
თეთრ საბნის ქვეშ გაყინული
არე-მარე დაღვრემილა.

ი. ევდოშვილი





# თედოს ბატები

თედო, შენ თავ შემოგევლე, ფრთხილად იყავი, არა დაკარგო რა, თუ ღმერთი გწამს. ხომ იცი, შვილებივით არიან ნაამაგდრები. ამ ქალაქის გზა არ აგერიოს და ფაიტონს არა გააჭყლეტინო-რა,—ემუდარებოდა გულხელ დაკრეფილი ფეფე თავის ქმარს და თან ნაღვლიანად ბატებს დასცქეროდა.

— რას ლაპარაკობ, დედაკაცო, გზა ამერიოს-რა, პირველად ხომ არ მივდივარ იმ ოხერა ქალაქსა.

— რა ვიცი ქა, ე ბუზბუზით რომ ირევა ი ხალხი და ფაიტონები, ცარიელ ადამიანს თავ-გზას ურევენ და შენ-კი თორმეტ ლაზ-ლაზა ბატს უნდა თვალყური ადევნო. მერე ამათი უბედური ჩერჩეტი! აიღებენ თავს და ვინ იცის შიგ ცეცხლში წაყონ ცხვირები, თუ ჩქარა არ მიეშველე. იმ დღევანდელი გივაანთ ჭუკებისა არ იყოს: ერთი ჭუკი თონეში ისრუკებოდა და გაცხარებული ყიოდა, აკი მეორეც არ შებრაცუნდა; ერთი-კი ჩახედა გვერდზედ, ისკუპა და თითონაც შიგ ჩაჰყვა. აი აგეთი გამოსტერებულები არიან და...

— ჰო კარგი, კარგი, რა დროს ეგ არის. ერთი ეს მითხარი, კიდევ რას მაბარებდი, რა ვიყიდო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ე ბავშვსა მეთქი ერთი სამი არშინი ბამბაზიონი უყიდე, თუ გადაგრჩეს რამე, შენი ჭირიმე, თორემ დახე ე მონმებში მეყინება და წამ-და-უწუმ მუცელსა ჰკლეჯავს. პაწაწასაც „იარმუკაზედ“ იქნება რამე ძველი ჩუსტები უყიდო, თორემ რაკი ფეხი აიდგა ამ ცივ-ზამთარში ამასაც მუცელს შემოჰბერავს დედა-მიწაზედ ბაჯბაჯით.

— მამი, შენი სულის ჭირიმე, ფოჩიანი კანფეტიც არ დაგავიწყდეს. სწორედ ისეთი მიყიდე აი, როგორიც წუხელი სიზმარში ვნახე, ყვითელ ქაღალდიანი იყოს. ბევრი მომიტანე, ხუთი აი, ძალუასთან რომ წავალ, ჯუბოსაც უნდა ვაჭამო,—გამოეპასუხა პატარა ნიკა, რომელსაც თავისი საყვარელი თეთრი ბროლივით ბატი დაეჭირა და შიგ თვალებში ჰკოცნიდა.—ვაიმე ჩემო ლამაზო ყელ-გრძელა, სად მიჰყვეხარ მამაჩემსა, შე საწყალო? რომ იცოდე, შე უბედურო, უნდა მდიდრებმა გიყიდონ საშობაოდ და ხიჩი-ხიჩი გიყონ. მერე მე რაღა ვქნა?... დილა ადრიან მე ვიღა წამომადგება თავზედ ყიყინით და თმების კოტნით ვინ გამაღვიძებს? ვაიმე, ჩემოლამაზო თეთრო ყელ-გრძელა,—წარმოსთქვა კიდევ და უფრომაგრა ჩაჰკოცნა. ბატსაც თითქოს იამებოდა მისი ალერსი: ხელში გარინდებულიყო და ყველა სიტყვაზედ ისიც დინჯად ყიყინებდა და მეტი ეშხით ელვასაებრ თვალებზედ ბისტს იკრავდა.

— რა არის, მამილო, დაარჩინე ეს ბატი აქა. ჩვენ-კი არ გვინდა, ერთი ბატი მაინც გვყავდეს. სულაც ჩემი ნაპოვნი კვერცხის ჭუჭული არ არის. რასაც ამათ დავდევდი, ან იმაში მაინც არ მერგება?

— არა, შვილო, არა, გამოთვლილია შენ გენაცვალე, ამ ბატების ფული, გამოთვლილი. აბა შვილო, სიმშილით ხომ არ დავიხოცებით, უნდა ორიოდე კოდი სიმინდი ვიყიდოთ თუ არა. დანარჩენი ფულებით-კი ი ჩვენი მოიხელიეს*) ვალი უნდა

*) მოიხელიე—მოვალე არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავწყვიტო, თორემ აგერ ჩივილს თურმე გვ პირებს,—აუხსნა თედომ ბავშვს და ახლა დანაღვლიანებულ ცოლს მიუბრუნდა:—შენ რაღასა დგეხარ, ადამიანო, გამოიტა ჩქარა პურები და ჭაბალახი, რომ თვალ-ნათლივ მაინც ჩავიდე ი ქალაქსა, თორემ ვერა ხედავ ამ ქარ-ბუქსა.—სთქვა და ღობისკენ გრძელი ჯოხისთვის გატრიალდა.

მართლაც საშინელი სუსხიანი დილა იყო. ირგვლივ, სოფელში უმადური ბატების ყიყინის მეტი, ძაღლების ყეფაც-კი არ ისმოდა. ყველა ისე იყო დამალული თავიანთ ქოხებში, ისე იყო იქაურობა მიწყნარებული და გარინდებული, თითქოს მტერს ემალებიანო. მოტიტვლებული მთა-ბარი ხელს უმართავდა სოფლის სურათს: ჩახნექილ-ჩამტვრეული, თითქოს უპატრონობით აოხრებული, უმართილო ღობე, გაკორტნილი ხეები და უსარო წაწოლ-წამოწოლილი გაშიშვლებული ვაზები, მოტუსულ მინდვრებთან ერთად მართლა რომ შესაბრალისად და თითქოს აკლებულივით იყურებოდნენ. შორეული მთები-კი თეთრი სამკაულით შემოსილნი და შავი ღრუბლებით დაგვირგვინებულნი მირს ძელოზე გაკრულ სოფელს თითქოს სასტიკად და მედიდურად ჩამოსცქეროდნენ.

— უ... უ... დედიჯან, რა რიგ შემცივდა,—წამოიძახა კანკალით გალურჯებულმა ნიკამ და ბატის ალერსს თავი ანება.

— გასწი, შვილო, შინა, აბა რაზე კვდები სიცივითა. გასწი და უშველად მოგიტან ი ყინვარ შაქარსა, ოღონდ დედას გაუგონე ხოლმე და ნუ გააჯავრებ.

— ყინვარი შაქარი-კი არა, კანფეტი მეთქი...

— ჰო, ჰო, კანფეტსაცა,—დააშოშმინა მამამ.

— უნდა მოუტანო, მაშა, არ ეკუთვნის მაგ საწყალსა: რამდენჯერ ფესები დაიგაზა, დედა მოუკვდა მაგასა, მაგათ დევნამებნაშია—გამოესარჩლა ფეფე და გახუნებული შავი ჭაბალახი და პურები ქმარს მიაწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საი, საი, საი—შემოსძახა თედომ გაფანტულ ბატებს, როდესაც ყურები და თავი ყაბალახით მაგრა წაიკრა და პურები უბეში შეიწყო.—საი!—გაიმეორა კიდევ და გულ-ხელ დაკრეფილმა ჯოხით იღლიაში ბატები წინ გაირეკა.

— თედო, შენი ჭირიმე, ერთი გირვანქა შაქარი და შაურიანი „პაჭკა" ჩაიც იყიდე, თუ მოახერხო, წამლად გამომადგება ხოლმე—მიაძახა ფეფემ შორს მიმავალ ქმარს და მწუხარებით აღსავსე თვალები რამდენიმე ხანს თავის ნაამაგდარ ყიყინებს ვეღარ მოაშორა.

— ვაიმე ჩემო შრომა, ჩემო ამაგო!... რამდენჯერ მე თვითონ მშიერს მაგათ გულისთვის მთელი სოფელი შემომივლია ქატოს და ნაკმაზის სათხოვნელად, მაგრამ ეხლა-კი... ეჰ ჯანაბას, ე ვალს ხომ მომაშორებს და ჩემთვის ესეც დიდი ბედნიერებაა.—წარმოსთქვა მწარე ოხვრით თვალცრემლიანმა ფეფემ და შინისკენ გამოტრიალდა.

* * *

— საი, საი, საი, სად მიხვალთ, თქვე ოხრებო, თქვენა. ერთი დახე ამათა, როგორ დამტანჯეს. საი მეთქი—შეუტია კიდევ თედომ და ხმაურობისაგან და ჩოჩქოლისაგან დამფრთხალი ბატები ვაგზლის ქუჩიდგან მიხაილოვის ქუჩაზედ ჩამორეკა. მას ეს ქუჩა ეცნობოდა, იცოდა რომ პირდაპირი გზა იარმუკასთან ეს იყო და ამისათვის არხეინად გზას გაუდგა. აქ კი ბატები სულ ერთიანად გადაირივნენ: ეტლების გაუთავებელი გრიალი, ზღვა—ხალხის წარა-მარა მსვლელობა და მეტადრე კონკების სრიალი მათ ისე აშინებდა, რომ პირველად წაგრძელებულნი ერთს ალაგას ჩერდებოდნენ, შემდეგ ფრთებს აბარტყუნებდნენ და უკან გასაფრენადა ტრიალდებოდნენ, მაგრამ ახლა თედო მოუქნევდა სახრეს და ისევ წინ ერეკებოდა.

— აი დასწყევლა ღმერთმა, დღეობას არა ჰგავს აქაურობა; სულ მხიარულები და დართულნი არ დადიან. დღეს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხერში სიცოცხლე, გამჩენის მადლმა. ამათ რა ჭირი მოჰკლავთ, — ფიქრობდა ბატებზედ არა ნაკლებ გაოცებული თედო და აქა-იქა თვალებს აცეცებდა. ხიდს გავიდა, ის იყო მარჯვნივ შეუხვია, როდესაც პოლიციელმა შეამჩნია და ისეთი დასჭყივლა საბრალოს, რომ სულ თავგზა აურია: —куда ты лѣзешь, скотина?! — შეუტია მრისხანედ და წინ გადაელობა.



შეკრთა თედო, აღარ იცოდა რა ექნა? არც ის იცოდა, რაზედ უჯავრდებოდა, მაგრამ აზრით უთხრა — „ბაზარ“ შენი ჭირიმე „ბაზარ“... Вонъ, дуракъ другой дорогой гони обратно! — ღრიალებდა მჴეცური გამომეტყველებით პოლიციელი და კონდახით ბატებს უკან ერეკებოდა. ერთს ბატს ისეთი ღონივრად და გმირულად მოხდო ფეხში, რომ საცოდავი წივილით იქვე მიაწვინა. დაწიოკდნენ დანარჩენი ბატებიც და აქა-იქ გაიფანტნენ. პოლიციელი-კი ჯავრობას არ ათავებდა და ახლა მამაცურად თედოსკენ საცემრადაც იწევდა, რადგანაც შეშინებული და თვალცრემლიანი სოფლელი იმის ბრძანებას ჯერ კარგად ვერ მიხვედრილიყო.

— ძმობილო, გამორეკე უკან და ემაგ ქუჩისკენ შეუხვიე, — ურჩია ერთმა გამვლელმა და გაჭირვებულ თედოს გზაც გაასწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ იარმუკაც. საწყალ თედოს ცოტა გული დაუშოშმინდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ორჯელ მაინც ყოფილიყო, მისს გაწცვიფრებას და გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა:

— ღმერთო ჩემო, როდის უნდა გაიყიდოს ეს ამოდენა ხორაგეულობა? დედა, დედა, ზღვაა წორედ, ზღვა! ნეტავი ამათა, ყველაფერი თავზედ საყრელი აქვთ და აბა ცხოვრებაშიაც ესენი არიან. აი ჩვენა ვართ ყველაფრით უბედურები: ქვა გვაქს და კბილები გვეწყალება,— ფიქრობდა გულ-დაწყვეტილი თედო და დაჩეხილი ბატით ხელში დანარჩენ ბატებს სემინარიისკენ ერეკებოდა.

მიდიოდა თედო და მისი გაწცვიფრება უფრო და უფრო ძლიერდებოდა. აგერ სემინარიაც, მაგრამ აქ-კი ისეთი ამბავი იყო, რომ სწორედ მეორედ მოსვლას მოგაგონებდათ: აუარებელი ბატი, ცხვარი, ქათამი, ინდოური, გოჭი, კვერცხი, ურმებით შეშა, ხალი, ყველი, ერბო... ისე იყო იქაურობა ყველაფრით სავსე, გეგონებოდათ მთელ დედამიწის ზურგზედ რაც რამ არის, სულ აქ მოუზიდიათ გასასყიდადაო. თედომ ახედ დახედა იქაურობას, მაგრამ ისე იყო გაჭედილი, რომ ასაქცევი გზაც-კი აღარსად ჩანდა. ბოლოს დიდი გაჭირვებით ერთი ურმის იქით, ბაღთან პატარა ალაგი დაიჭირა და ახლა მუშტარს დაუწყო ცდა.

— ჰყიდი, ამხანაგო, მაგ ბატებს? ჩაეკითხა ერთი ახალგაზდა და ბატებს თვლა დაუწყო.

— მა რითვინა ვდგევარ, თუ არ გავყიდი?—მოკლედ და უგემხად უპასუხა თედომ.

— მერე როგორ აძლევ თითოს?

— ექვს-ექვს აბაზად.

— ექვს-ექვს აბაზადაო? მერე, შე უხეირო, ნაპოვნები არიან, რომ ეგრე იაფად აძლევ? არ გაბედო ცხრა აბაზ ნაკლებ გაყიდვა, შე უშნო, თორემ ან მე ვიქნები და ან შენ. ეგ ხომ ვიცი, რომ უკანასკნელი ლუკმა იქნება შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მა რა ვუყო, შენი ჭირიმე, რომ არ დამეყიდოს, მერე რაღა უნდა ვქნა?

— რა არ გაგეყიდოს, რას ლაპარაკობ? თქვენი სოფლელი არ იყო... აი მაღალ-მაღალი, ფარაჯიანი.... დაიცა, რა ერქვა... ჰო, გაბო, არა ნიკა, არა, არა, მიხა! დიაღ მიხა, მიხა ..

— რავქნა, რომელი მიხა, ი ჩვენი სოფლიდგან ჩემს მეტი არავინ წამოსულა და რომელ მიხას ამბობ, არ ვიცი.

— როგორ არა, კაცო, წეღან შენ რომ მოდიოდი, იმან თვალი შეგასწრო და დაგიძახა კიდეც დავითაო, თუ დაიცა, დამავიწყდა შენი სახელი...

— თედოვო?

— ჰო, ჰო თედოვო, მაგრამ შენ-კი ვერ გაიგონე. — რავქნა, ვერ მომიგონია, რომელი მიხა წამოვიდა ჩვენი სოფლიდგან?

— ეჰ, როგორ არა, კაცო, აი მაღალ-მაღალი მიხა რაღა. არ ვიცი თქვენი სოფლელია, თუ თქვენ სოფელს ახლო რომ პატარა სოფელია, დაიცა რა ჰქვიან? აი დასწყევლოს ღმერთმა, დღეს რა მომდის! ისე ვარ გამქმევებული, რომ ლამის პურის სახელიც დამავიწყდეს.

— დაიცა, ტკაველელი ხომ არა სთქვა?

— ჰო, ჰო, სწორედ ტკაველელი მიხა, აი მაღალ-მაღალი რაღა, ხომ იცი?

— ჰო, ჰო როგორ არ ვიცი. წვერბოგირაანთ მიხა, ჩემი ნათლიმამა, ნათლმირონია, კაცო; წორედ ის იქნება, ქერა კაცია, არა?

— ჰოო, სწორედ ის იყო და ინდოურები სულ ოროლ მანეთად დავაყიდვინე. გავამსებინე ჯიბე და ისე გავისტუმრე. დიდი მადლობელიც დამრჩა, თორემ ის რვა აბაზად აძლევდა.

— რატომაც არ იქნებოდა მადლობელი; ღმერთმა გადღეგრძელოთ, ისევ თქვენ გეცოდებათ და თქვენ შედიხართ გლეხკაცის გარემოებაში, თორემ...— გულ-ახდილად ესაუბრებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო და თან მოსულ მუშტარს რვა აბაზად ბატებს უფასებდა. კინტო-კი ბრძნული გამომეტყველებით, ჯიბეში ხელებ ჩაწყობილი დიდხანს ისმენდა მის ჩივილს და მრავალ გვარი ტყუილით ამხნევებდა.

აგერ ერთი ფეხ მონტვრეული ბატის მეტი აღარა დარჩა, ამასაც გაჰყიდის და მერე სიხარულით, ფულით სავსე, ნავაჭრებით შინ დაბრუნდება ცოლ-შვილის გასახარებლად.

— მაგ ბატს ორი აბაზი დაუკელ, ფეხ მოტეხილია, და შემდეგ რიყეზე გამოდი. იქ ჩემ ძმას დიდი მაღაზია აქვს ფარჩეულობისა და სულ ნახევარ ფასად მოგაცემინებ, რაც სავაჭრო გინდა. კონკიდან რომ ჩამოხვალ... იქვეა რაღა, დიდი მაღაზია. ვისაც ჰკითხავ, ვანუას დუქანი სად არისთქო, მაშინვე გასწავლიან. მანამ-კი ყოჩაღად იყავი,—დაარიგა კინტომ და ვითომ კონკაში ჩასაჯდომად გასწია.

არ გასულა ნახევარ საათი, თედომ ეს ბატიც მოიშორა, ფული ლურჯ ქისაში ჩაიწყო და ახალუხის ჯიბეში შეინახა.

— აბა ახლა გავახარებ ი ჩემ ცოლშვილს, აი, ბულქის პურს რომ მივუტან და ორ აბაზ მეტსაც შევიტან სახლში. ვალსაც მოვიშორებ, სიმინდსაც ვიყიდი და პატარა სულით მოვისვენებ,—ფიქრობდა გახარებული თედო და კონკისათვის მაურიანს თუთუნის პარკში ჰქექავდა. — რიყის ბილეთი მომეცი, — თამამად უთხრა კონდუქტორს და დაჟანგებული მაურიანი არხეინად გაუწოდა. ამ დროს მის გვერდით მჯდომი ცილინდრიანი რაღაცნაირად გაიზმორა, მერე ვითომ უცაბედად თედოს ღონივრად მიაწვა და ბოდიშის მოხდის შემდეგ კონკიდგან ფიცხლავ გადახტა.

გადმოვიდა თედოც რიყეზედ და ვანუას დუქანს ძებნა დაუწყო, მაგრამ ამაოდ: ბევრი ძებნის შემდეგ ერთის მაღაზიაში შევიდა, ბომაზია მოიკითხა, დააფასებინა და ბევრი ჩინჩისა და ვაჭრობის შემდეგ მოურიგდა და ჯიბისაკენ ხელი იტაცა ფულების

ამოსაღებად, მაგრამ ჯიბე ამობრუნებული დახვდა და ელდისაგან საბრალო იქვე წაბარბაცდა.

— ვაიმე ქისა! გიყივით წამოიძახა ფერმიხდილმა და ცახცახით ტანსაცმელს ჩხრეკა დაუწყო. —მოუპარავთ... მიშველეთ... თქვენი ჭირიმეთ, დავიღუპე!..—შეჰღრიალა იქ მყოფთ და გამწარებულმა თავ-პირში შემოიკრა.

— რა იყო, მმობილო, რა დაკარგე, კაცო?—ეკითხებოდნენ აქა-იქიდგან და თან მებნას შველოდნენ.

— ფულები... ჩემი ცოლშვილის წვა და ვაება... ფულები... ვაიმე! ღმერთო, ეს რა ცეცხლი ჩამოშივარდა მე უბედურსა... ვაიმე შვილებო, ვაიმე სიმშილო!..—ღრიალებდა გულამოსკვნილი თედო და გამწარებული თავ-პირში იცემდა.

*
* *

ექვსი საათი კიდეც შესრულდა. მაღაზიებს გაფაციცებით ჰკეტავდნენ, ელექტრონით გაჩაღებული ქუჩები მოსეირნე ხალხით ივსებოდა; დიდი მოძრაობა და ალიაქოთი იდგა, მაგრამ თედო-კი ვეღარაფერს ამჩნევდა. მიბარბაცებდა საბრალო ქვითინით ერთ ფართო ქუჩაზედ და თითონაც არ იცოდა, სად და რისთვის.

ცქვიტი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



Цинк. Груз. Т-ва

# თინას საჩუქარი

— ბუუუ!.. ბუუუმ!.. გაისმა დიდი ზარის ხმა და გადიამ, რომელიც ხატს სანთელს უნთებდა სასოებით პირჯვარი გადიწერა და სიხარულით წარმოსთქვა: შობასაც ვეღირსეთ!

ყველაფერი მზად იყო დიდებული დღესასწაულის მისაგებებლად: ოთახები დასუფთავებული და დაკრიალებული. გადიას ბაძით ნატომაც დაალაგა დედოფლების ოთახი, ყველა თავის ალაგას დასდვა და დაასუფთავა, მხოლოდ ლოგინი აშალა დასაძინებლად.

— ძილის დროა, ნატოჯან, ალერსით უთხრა თავის საყვარელ გაზრდილს გამდელმა.

— აი, ახლავე, გადია, ოღონდ ნინო დავაძინო, — მიუგო ნატომ და მიაწვინა თავისი დედოფალი ლოგინზედ, დახურა საბანი და მერე გამდელს უთხრა: — იცი, გადია, მოდი ერთხელ კიდევ შევიდეთ სასტუმრო ოთახში, შობის ხეს გამოვეთხოვოთ!

გამდელს გაეცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთელი დღე იმას ულოლიებდი და მაინც ვერ გაძღერ იმის ცქერით?

სასტუმრო ოთახის შუა იდგა დიდი შობის ხე მშვენივრად მორთული. მაღლა წვერზედ ჰქონდა გაკეთებული ვერცხლის დიდი ვარსკვლავი, მის გარშემო თეთრფრთიანი ოთხი ანგელოზი. ზედ მრავალი ბჭყვრიალა ბურთი ეკიდა. ვარაყიანი კაკლები, ლამაზ-ლამაზი კოლოფები, პეპელები, ცხენები, ჩიტები, სპილოები, თევზები, ჭრელი ბაირაღები და სხვა და სხვა ფერი სანთლები... სულ ყველა ერთად ისეთ მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა, რომ ნატო აღტაცებული გაჩერდა.

— ჩემო ლამაზო, — უთხრა ნატომ შობის ხეს, როგორ მეზარება შენი მოშორება!

მაგრამ მაინც გამოეთხოვა და წავიდა დასაძინებლად. ლოგინში დიდხანს ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა, რომ სარკიანი ლამაზი, ცისფერი ატლასის კოლოფი იმას რგებოდა. „დედასა ვთხოვ, ყურში ვეტყვი ჩუმად“ გადასწყვიტა ნატომ და ჩაეძინა.

მეორე დღეს საღამოზედ ყველა ოთახი გაჩაღებული იყო. სტუმრები ბლომად მოვიდნენ. სასტუმროში როიალს უკრავდნენ, მაგრამ ბავშვები ჯერ არა ჩანდნენ.

— რავქნა, სად არიან? ამბობდა დედა. სად წაიყვანა ბავშვები ბიძია ვანომ?

ამ დროს ბავშვები ყიჟინით და სიცილით შემოცვივდნენ ოთახში. ყველანი სხვა და სხვა ტანისამოსში მოკაზმულიყვნენ: ზოგს ჩინური ჩაეცვა, ზოგს რუსული, ზოგს მასხარისა და თან იღრიცებოდა, ზოგი ზანგად მოკაზმულიყო. ყველა ეს, რასაკვირველია, მოახერხა ბიძია ვანომ, დალოცვილმა მეტად კარგად იცოდა ბავშვების გართობა.

მაღალი, მშვენიერად მოკაზმული შობის ხე თავმომწონედ ამართულიყო შუა ოთახში. მთლად განათებული ათას ფრად ბრწყინავდა. ბავშვები გარს უვლიდნენ, თან მღეროდნენ, ცეკვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდნენ, თამაშობდნენ და იცინოდნენ. იმათ მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა მით უფრო, რომ ბიძია ვანოც იმათთან დარბოდა, დახტოდა და მხიარულებდა, როგორც ნამდვილი იმათი ტოლი.

საჩუქრების დარიგება რომ დაიწყეს, ნატო დედასთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა, ცისფერი ატლასის სარკიანი კოლოფი მე მარგუნეო. ლოყები დასტკვრეცოდა, თვალები უბრწყინავდა და ისეთი ლამაზი რამ იყო, რომ დედამ უარი ვეღარ მოახერხა.

— კარგი, ჩემო პაწია, შენ გარგუნებ იმ კოლოფს.

ამ დროს ნატოს მოესმა ბავშვის ტირილი. მაშინვე მიირბინა კარებთან, სადაც ბავშვები შეგროვილიყვნენ და დაინახა პატარა თინა, მზარეულის ბავშვი, რომელიც წინა დღეს ბებიამ ჩამოიყვანა სოფლიდან. პატარა თინა კარებთან იდგა, იმათ მხიარულებას უყურებდა. ნატოს ძმას გიორგის ძალიან უყვარდა სუსტი ბავშვების წვალება; მივარდა თინას და ისე დაეღრიჯა, რომ ტირილი დააწყებინა, სტაცა ხელი, ოთახში შეათრია და უფრო მეტად მოუყვა დაცინვას.

ნატოს ძალიან სძაგდა ბავშვების წვალება. ნატირალევი თინა რომ დაინახა, მივარდა გიორგის.

— დაანებე თავი, გესმის!.. დაუყვირა გაბრაზებულმა და თინა თავისკენ წაიყვანა.

პასუხის მაგივრად გიორგიმ ხელი ჰკრა და წააქცია. ბავშვებმა ხარხარი ასტეხეს. ნატო არ შეკრთა.

— არ გაბედო მაგის დაცინვა!—დაუყვირა კიდევ და წამოდგა.—ამას შენთვის არა დაუშავებია-რა!—კიდევ კარგი ამ დროს ბიძია ვანო გაჩნდა, თორემ ნატოს საქმე ცუდად იქნებოდა. ბიძია ვანომ ეს ყველა წინადვე შენიშნა. ძალიან გაბრაზდა და დატუქსა გიორგი, რომელიც თავჩაქინდრული უსიტყვოდ იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატომ თინა მიიყვანა სკამთან, რომელზედაც თავისი საჩუქრები ჰქონდა დალაგებული.

— აბა რა გინდა? აირჩიე!

თინა გაბრწყინვებული სახით, ცრემლიანი თვალებით, მაგრამ უკვე გამხიარულებული შესცქეროდა ამ ლამაზ სათამაშოებს და სწორედ ცისფერი კოლოფი აირჩია... ნატომ ამაზედ ხმაც არ ამოიღო, პირიქით სიამოვნებით აჩუქა. სხვა ბავშვებმაც დაასაჩუქრეს და ჰაწია თინა დიდი ბედნიერი წავიდა თავის დედასთან.

— არ გენანება შენი ცისფერი კოლოფი?—ჰკითხა დედამ ნატოს დაძინების დროს.

— სრულიადაც არა, მე თინა მებრალება,—მიუგო ნატომ და იგრძნო, რომ ძალიან შეუყვარდა ის საწყალი გოგონა.

— საწყალი თინა, ამბობდა ნატო თითქმის მძინარე.—დედა, რად არიან ქვეყანაზედ ღარიბნი?

ელენე ანტონოვსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შვიდ გეწვა ქოსა

თარგმანი თათრულით

(დასასრული)

დაბრუნდა ქმარი, შეიტყო ეს ამბავი და ძლიერ შეწუხდა. ბევრი სთხოვეს, არ წასულიყო ცოლის საძებნელად, — შენც რამე უბედურება შეგემთხვევაო — მაგრამ არ დაიშალა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, მივიდა ერთს უშველებელ ციხესთან და დააკაკუნა კარი.

კარი უფროსმა დამ, დათვის ცოლმა, გაუღო. ერთმანეთის ნახვა ძალიან იამათ. დას ძალიან გაუკვირდა ძმის მისვლა და გამოჰკითხა, რად მოსულხარო? ძმამ უამბო თავისი თავგადასავალი და უთხრა, — შენა და შენმა ქმარმა უნდა მიშველოთ რამეო. და ძალიან შეწუხდა. კარგიო, უთხრა, მაგრამ რა ვქნა, რომ ჩემს ქმარს თქვენ ძალიან ეჯავრებით და თუ გაიგო, რომ რომელიმე ჩემი ძმათაგანი აქ არის, უთუოდ მოჰკლავსო? ძმა მაინც დარჩა. დამ შეიყვანა ოთახში და სკივრში დამალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს მოვიდა დათვი, დაიწყო ყნოსვა და ცოლს უთხრა: აქ ადამიანის სუნია და ახლავე გამოაჩინეო. ცოლს შეეშინდა, მაგრამ უამბო, რაც იყო. რაკი შეიტყო დათვმა, უნცროსი ძმა არისო, იამაკიდეც და უთხრა: ეგ ხომ ის არის, რომელმაც შენი თავი მომცა, მაგის ნახვა ძალიან მესიამოვნებაო. მაშინ-კი ამოვიდა იმისი ცოლის ძმა. რა დაინახა დათვმა მეფის შვილი, გადაიძრო დათვის ტყავი და მშვენიერ ვაჟკაცად იქცა. ერთმანეთს მიესალმნენ, მეფის შვილმა უამბო თავისი გაჭირება, და სთხოვა დახმარება. სიძე-დათვმა მაშინადვე დაიბარა თავის სამეფოს დათვები და ჰკითხა,—ხომ არ გინახავთ ბებერი კაცი მშვენიერ რაშზედ მჯდომი, ქალი მოუტაცნიაო? მაგისთანა არა გვინახავს რაო. მეფის შვილმა რაკი ვერა გაიგო-რა, გამოემშვიდობა და გაუდგა გზას.

იარა, იარა და მიადგა მეორე ციხეს. აქ თურმე შუათანა და, მგლის ცოლი, ცხოვრობდა. ამ დამაც შიშით დამალა ძმა, მაგრამ როცა მგელმა გაიგო, უნცროსი ძმა არისო, იმანაც მოისხნა მგლის ტყავი, მიესალმა ცოლის ძმას და, როცა გაიგო იმისი გაჭირება, დაიბარა თავისი მგლები და გამოჰკითხა,—ხომ არ გინახავთ შვიდბეწვა ქოსაო. არც ამათ ენახათ. მეფის შვილი გამოეთხოვა და გზას გაუდგა.

ბევრი სიარულის შემდეგ მიადგა მესამე ციხეს, სადაც შეხვდა თავის უნცროს დას, ამანაც ქმრის შიშით დამალა ძმა. მოვიდა გველი და, რაკი გაიგო, რომ უნცროსი ძმა არისო, სიხარულით გადიძრო გველის ტყავი და სიამოვნებით მიიღო ცოლის ძმა. რაკი გაიგო რა მიზეზით იყო მისული, შეჰყარა სუყველა თავისი გველები და ჰკითხა:—ხომ არ გინახავთ შვიდბეწვა ქოსა, რომელმაც მზეთუნახავი ქალი მოიტაცა?—არავინ გვინახავსო.—მეფეს ძალიან სურდა ეშველა რამე თავის ცოლისძმისთვის და ჰკითხა, ხომ არავინ გაკლიათო?—გველებმა უთხრეს: როგორ არა, ერთი ბებერი გველი გვაკლია; ტყავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცვალა და სულ ერთ ადგილას წევს ჭაობშიო. მეფემ უბძანა მიეყვანათ ბებერი გველი. ბრძანება მაშინვე აუსრულეს. მეფემ ახლა იმასა ჰკითხა ქოსას ამბავი. გველმა მოახსენა:—თუ ქალის გათავისუფლება გინდათ, უნდა შუადღისას მოხვიდეთ, რადგანაც იმ დროს ის კაცი შინ არ არის. საცა მე ვწევარ ჭაობში, ჩემს გვერდზე პატარა მშრალი არის დარჩენილი; ის ადგილი უნდა ამოითხაროთ, წინ დაგხვდებათ კარი. კარის გვერდზე დგას პატარა ყუთი, იმ ყუთში კარის გასაღებია; კარს გააღებთ, შეხვალთ ოთახში, სადაც მძინარე მოტაცებული ქალი ბრძანდება, იქვე კედელზე სტვირი ჰკიდია, რომლითაც უნდა ჩაჰყვიროთ ყურში; მაშინვე გაიღვიძებს. ქალი დაარიგეთ, მხიარულად დაუხვდეს ქოსას, როცა დაბრუნდება, სთხოვოს სახლ-კარის დათვალიერება და თავლის ნახვა. იქ ქალმა უნდა შეიტყოს, რომელია საუკეთესო ცხენი, და როცა შემდეგ მიხვალთ, თქვენც სწორედ იმაზედ შეჯდებით და ქალს ისე წამოიყვანთო.

მეფის შვილი სწორედ ისე მოიქცა, როგორც გველმა დაარიგა. იპოვა გასაღები, გააღო კარი, დაინახა მძინარე თავისი ცოლი, სტვირით ჩაჰყვირა ყურში; ქალმა გაიღვიძა და ძალიან გაუხარდა თავისი ქმრის ნახვა. ერთმანეთს უამბეს თავისი თავგადასავალი. მერე ვაჟმა დაარიგა ცოლი და უთხრა: შენ ოღონდ ასრე მოიქეცი და მე ხვალ შუადღისას მოვალ და წაგიყვანო. მერე სტვირით მეორე ყურში ჩაჰყვირა. ქალს მაშინვე დაეძინა; სტვირი თავის ალაგას ჩამოჰკიდა და წამოვიდა.

როცა ქოსა დაბრუნდა, ქალი მხიარული დაუხვდა და სთხოვა ეჩვენებინა თავისი სახლ-კარი, მაგრამ ცხენებზედ რომ დაუწყო ლაპარაკი, ქოსამ ეჭვი აიღო და საუკეთესო რაშის მაგივრად იმის კვიცზედ მიუთითა. მეორე დღეს შუადღისას მივიდა მეფის შვილი. ქალმა აჩვენა კვიცი. იმან საჩქაროდ შეკაზმა რაში. შეჯდა, შეისვა ცოლი და გააჭენა.

ქოსა რომ დაბრუნდა და ქალის მოტაცება გაიგო, მაშინვე

მიხვდა რაშიაც იყო საქმე. შეჯდა თავის რაშზედ და გამოუდგა. ცოლ-ქმარმა ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ ქოსა მისდევდათ; იმათი რაში მეტის ფრენით ცოტა არ იყოს დაღლილიყო და საცაა ბებერი დაეწეოდათ. ძალიან შეეშინდათ, აღარ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს ქალს მოაგონდა, რომ იმათი რაში კვიცი იყო ბებრის რაშისა და ცოლ-ქმარმა დაუწყეს ხვეწნა. სთხოვე დედაშენს არ დაგვეწიოს, ან გადაჩეხოს სადმე ის ქოფაკიო. რაშს შეეცოდა და დაუძახა თავის დედას: დედილო, ნუ დამეწევი, მე ძალიან კარგი პატრონები გამიჩნდნენ, ცოდონი არიან, რომ მაგ ბებერს ჩაუვარდნენ ხელში; თუ კარგი დედა ხარ, შენ ქვეშ რომ ხევია, ეგ ქოფაკი იქ გადააგდე და შენც ჩემთან წამოდიო. —ბებრის რაშმა მაშინვე ტლინკვა დაიწყო და ქოსა ხევში გადააგდო, თითონ საჩქაროდ დაეწია თავის კვიცს. ქმარი დედა-რაშზედ შეჯდა და მშვიდობიანად მივიდნენ შინ.

თ. ბაქრაძე





# ძაღლის მეხსიერება

(თარგმანი გაგძელება)



რ წელიწადზედ მეტი გაატარა დიუკმა ვანოს სახლში. ამ დროის განმავლობაში ის ნამდვილი მცველი იყო როგორც სახლის და ქონის, ისე ოჯახის წევრებისაც.

დიუკი იმდენად საიმედო იყო, რომ იმათ შეეძლოთ წასულიყვნენ, საცა სურდათ, ოღონდ-კი დიუკი დაეტოვებინათ სახლის მცველად. იმის წყალობით ვანო სრულებით უშიშრად დაიარებოდა დაბურულ ტყეებში, რომელიც სავსე იყო ყოველნაირი ნადირით. მას თავისუფლად შეეძლო აგრეთვე ებანავნა ძალიან ღრმა წყალშიც, თუ-კი თავისი დიუკი თანა ჰყავდა. დიუკსაც განსაკუთრებით ვანო უყვარდა. ვანოს ყოველი შეხედვა და სიტყვა, ისე ესმოდა, როგორც ადამიანს... გაიარა ხანმა, ვანო წამოიზარდა დ მისი მუშაობა და შემწეობა დაეტყო კიდევაც ოჯახს. ოჯახი აღარ გრძნობდა ისეთ სიღარიბეს, როგორც წინად, იმის ბავშვობის დროს. სამწუხაროდ ეს ნეტარი დრო ხანგრძლივი არ იყო:

ერთ ზაფხულის დღეს, როცა მთელი ოჯახი ყანაში მუშაობდა, უეცრად გაუჩნდა დარაჯის სახლს ცეცხლი და მთლად გადაიბუგა. რომ გაიგეს და მიეშველნენ თავიანთ სახლს, უკვე დამწვარი დახვდათ ყველაფერი, და მარტო გარუჯული კედლები და ნაცარი-ღა იყო სახლის ალაგას. გზის მმართველობამ მაშინვე მოახდინა განკარგულება,—აეშენებინათ დარაჯისათვის ახალი სახლი. აშენებით აუშენეს, მაგრამ საქმე ესლა შიგნით მოწყობა იყო. საიდგან უნდა ეშოვნათ ფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო ავეჯეულობის საყიდლად? ეს იყო მათთვის თავ-სატეხი საკითხი. ერთხელ დარაჯი ქალაქს წავიდა; ის ისე იყო გატაცებული თავის ფიქრებით, რომ არც-კი შეუნიშნავს, რომ დიუკი უკან დაედევნა. საღამოზედ დაქანცულმა დარაჯმა სახლში ამ სიტყვით შეხვდა ფეხი: „გმადლობ, შენ უფალო, მგონი გამობრუნდეს ჩვენი საქმე. ერთმა კაცმა, დაინახა თუარა ჩვენი ძაღლი, ასი მანეთი შემომაძლია, ძალიან კაი ჯიშის ძაღლიაო. ძალიან მოეწონა, მაგრამ მე ვანოს დაუკითხავად ვერ მივეცი; დაპირებით-კი დავპირდი მოგიყვან მეთქი. მე და შენ ერთად წავუყვანოთ, შვილო, კვირას. ვანო განცვიფრებული იდგა. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაეყიდნა ეს ერთად ერთი თავისი მეგობარი! მის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ისიც კარგად შეეგნო, რა საშინელ მდგომარეობაში იყო მისი დედმამა უფულობის გამო, და აბა რაღა უნდა ექნა? თავისდა უნებურად უნდა დამორჩილებოდა ბედს. მანამ თავის გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა ერთი თხოვნით მიმართა მამას: „მამა, მე წავალ, დავუდგები მოჯამაგირედ ვისმე, რასაც ვიშოვი, ოჯახში შემოვიტან, დიუკს-კი ნუ გავყიდით“.

ელენე ჭიჭინაძე.

(დასასრული იქნება)



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გასართობი

## ლახტის თამაშობა

მოთამაშენი თავიანთ შორის წილით ამოირჩევენ „დარაჯს“, რომელიც დაჯდება იატაკზე, ანუ სკამზედ. ფეხთით დაუდგმენ თეფშს თხილით. ეს — „ცეცხლია“, რომელსაც ეხვევიან „პეპლები“ — ბავშვები. დარაჯს ხელში დაგრეხილი ტილოს ლახტი უჭირავს. პეპლები მიდიან ცეცხლთან და ცდილობენ თხილი მოსტაცონ. დარაჯი თვალ-ყურს ადევნებს და ლახტით სცემს პეპლებს. რომელსაც დაჰკრავს, გაჭრილია და ბოლომდინ ვეღარ ითამაშებს. პეპლები ცდილობენ მოატყუონ დარაჯი, ეუბნებიან სხვა და სხვა სიტყვის დასაწყისს, რომლებიც დარაჯმა უნდა დააბოლოვოს. თუ პეპლებმა მოსტაცეს თხილი და მათში დარჩა გაუჭრელი, ვინმე თხილ სისინი იყოფენ, და თუ დარაჯმა ყველა პეპლა გასჭრა, თხილი იმასა რჩება.

ლაპარაკს ასე იწყობენ:

პეპლები: ცეცხლო, ნება მოგვეც, ცოტა გავთბეთ.

დარაჯი: დაიკარგენით აქედან, თორემ ფრთებს შეგიტრუსავთ!

მერე პეპლები ეუბრებიან სიტყვის პირველს ნაწილს.

მაგალითად: კითხვა — თბი...

პასუხი: ლისი, ლი, ლა.

კითხვა: და...

პასუხი: ვით, ბა, ნა.

კითხვა: ბორ...

პასუხი: კილი, ცვი, ბალი.
კითხვა: კა...
პასუხი: ხეთი, ცი, კალი, ლია.
კითხვა: ბა...
პასუხი: თუმი, ქო, რი, კი და სხვა. კითხვა და პასუხი ბავშვებზედ დამოკიდებული.

---

### შარადა

პირველი სიტყვით შენს თავსა
იხსენებ საუბარშია;
მეორეს—ბოლოს გამოსთქვამ
ქართველი კაცის გვარშია;
მესამე—იარაღია,
ხელს ჰკიდებ მას გრძელ ტარშია;
მთელი კი პირუტყვი არის,
ნადირობს მთა და ბარშია.

---

### რებუსები




---

მე-22 №-ში მოთავსებული შარადის ახსნა:
ბუ—ხარი ბუხარი.
რებუსის ახსნა:—პეპელა დაფრინავს.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.